ფასი 50 კაპ.

ყოველდღიური პირველი

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 122 კვირა, 22 დეკემბერი, 1918 წ. № 122

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სამუსიკო საზოგადოება
სახელმწიფო თეატრი სეზონი 1918—19 წ.
ორშაბათს, 30 დეკემბერს გაიმართება

## ეროვნული კონცერტი

პროგრამა შესდგება დ. არაყიშვილის თხზულებებიდან

მონაწილეობას იღებენ: ქ.ქ. ო. ა. შულგინა, ე. ა. ზორინა. ბ.ბ. ივ. პ. სარაჯიშვილი, ფ. ნ. პოლიაევი და სიმფონიური ორკესტრი ავტორის ლოტბარობით

სამშობლოს დამცველ მეომართა სასარგებლოდ.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

პირველ ცხენოსან პოლკის კომანდირი და აფიცრები ამით აცხადებენ, რომ მტერთან ბრძოლის დროს სადახლოსთან მოკლულ იქმნა როტმისტრი

ანდრია ნესტორის ძე დადიანი

პანაშვიდი ყოველ დღე დღის 12 საათსა და საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დამარხვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.
1914 2—2

უდროოდ დამწუხრებული და გაუბედურებული მეუღლე ელენა აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს ძვირფას მეუღლის

ალექსანდრე (სანდრო) მაისურაძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 19 დეკემბერს სომხის მოღალატე ჯართან შეტაკების დროს.
1217 2—1

ღრმად დამწუხრებული ქმარი ვასილ გრიგორის ძე ედილაშვილი, მამა, და შვილები, სიდედრი, მოყვრები მეუღლითურთ და ცოლისდები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, კვირას, 22 დეკემბერს გადახდილი იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში უდროოდ გარდაცვალებულის

ანნა მიხეილის ასულის ედილაშვილის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება დღის 12 საათზე განსვენებულის საფლავზე.
1215 1—1

დედა ბარბალე, ძმები როსებ და ივანე, დები ნინა და მარიამ ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 22 დეკემბერს, შუადღის 12½ საათზე ქვაშვეთის წ. გ. ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი დაუვიწყარ

ვლადიმერ გობეჩიას

სულის მოსახსენებლად მისი გარდაცვალებიდან ექვსი თვის შესრულების გამო.
1220 1—1

ხელმძღვანელი და ოფიცერთა საზოგადოება პირველი ცხენოსანი პოლკისა იუწყება, რომ სად. სადახლოსთან მოკლულ როტმ.

ანდრია ნესტორისძე

დადიანის

გვამს გამოასვენებენ ქაშვეთის ეკლესიიდან ტფილისის სად., სამშობლოში გასასვენებლად, 22 დეკემბერს, პანაშვიდის შემდეგ. წირვა დაიწყება 11 საათზე.

მამულიშვილნო!

დღეს სამშობლოს თქვენი თავი სჭირია

მოისხადეთ თქვენი მოვალეობა

ქართული ლეგიონი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ნებართვით მოუწოდებს მოხალისეებს.

მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე ქართველ სახელოვნების მოქმედთა საზოგადოების ბინაში, (სასახლის ქუჩა) ქართული თეატრის ეზოში, სადაც დროებით მოთავსებულია ლეგიონის კანცელარია. იქვე შეიძლება ყოველგვარი პირობების შეტყობა.

ლეგიონის სარდალი პოლკოვნიკი ლეო კერესელიძე.

დღეს, 22 დეკემბერს, დილის 11 საათზე, ფრეილინის ქუჩა № 11, შესდგება არაჩვეულებრივი

საზოგადო კრება ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებისა

განსახილველია: 1) სამშობლოსათვის ტეხნიკური ძალების დახმარების საკითხი. 2) ტეხნიკური ძალების რეგისტრაციის მიზნით ქართული ტეხნიკური საზოგადოება მიმართავს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ინჟენრებს და ტეხნიკოსებს დაუყოვნებლივ მოგვაწოდონ შემდეგი ცნობები: 1. სახელი და გვარი 2. სპეციალობა. 3. წლოვანობა. 4. სად დაამთავრეს სწავლა და როდის. 5. სად გიმსახურიათ. 6. როგორი მუშაობა გიწარმოებიათ. 7. სად მსახურებთ. 8. რა ჯამაგირი გაქვთ. 9. ტეხნიკისა და მრეწველობის რომელ დარგში გსურთ მუშაობა. 10. რა ბეჭდვითი ნაწარმოები გაქვთ. 11. მისამართი. ცნობები უნდა გამოიგზავნოს: ტფილისი, დიდი მთავრის ქუჩა, № 70, ინჟ. ვ. კაკაბაძეს.
1199 1—1

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

გამგე ს. ი. ევლახიშვილი. კვირას, დეკემბრის 22-ს, დილით

ევგენი ონეგინი

მონაწილეობენ: მანდენოვა, იანსა, ხორინა, მოლჩანოვი, ინაევი, ისეცკი, დასაწყისი 12 საათზე. საღამოს ალეშკოს, იანსას, ზალიპსკის და ნიკოლსკის მონაწილეობით

ალი

დასაწყისი საღამოს 7 საათზე. სამშაბათს, დეკემბრის 24-ს, საბანეევას, სარაჯიშვილის, ვრონსკის მონაწილეობით „მარგალიტის მაძებარნი“. ოთხშაბათს, დეკემბრის 25-ს, ალეშკოს, იანსას, ზალიპსკის, პოლიაევის მონაწილეობით „ზაზა“. ხუთშაბათს, დეკემბრის 26-ს, საბანეევას, მოროზოვას, სარაჯიშვილის და ნიკოლსკის მონაწილეობით „ლაკმე“. შაბათს, დეკემბრის 28-ს, დირიჟორის ი. ა. სამოსუდის ბენეფისი „გოფმანის ზღაპრები“. მონაწილეობენ: საბანეევა-ოლიმპია, შულგინა ანტონია, შვამბერგ—ჯულიეტა, ზალიპსკი—გოფმანი, ნიკოლსკი—ლინდორფი.
1219 1—1

# გაუმაგრეთ ზურგი ფრონტს
# დაეხმარეთ მებრძოლ ჯარს.
## გამოიღეთ თქვენი წვლილი.

შემოწირულება მიიღება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" კანცელარიაში, გოლოვინის (ბარონის) ქუჩა № 6. დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ოფიციალური განყოფილება

## კანონი

**გადიდებული პირდაპირი გადასახადის და ბაჟის მოკრეფის აწინდელი კანონის მოქმედების გაგრძელებისა.**

1. გაგრძელებულ იქნეს 1918 წ. იანვრის პირველიდან მოქმედება: განყოფ. 1 და III (მხ. 1-3 და პუნქტი a მე-4 მხ.) და 7, თავი A,—რუსეთის მინისტრთა საბჭოს 1914 წ. ოქტომბრის 4-ს და 1915 წ. ივლისის 4-ს დამტკიცებული დებულებისა შესახებ უკვე დაწესებულ გადასახადებისა და ახლების შემოღებისა; განყოფ. მე 7, 1915 წ. იანვრის 9-ს დამტკიცებული იმავე მინისტრთა საბჭოს დებულებისა (კანონდებათა კრებული მ. 149) შესახებ ხაზინის შემოსავლის რაოდენობისა; გან.—მე I და II, 1916 წ. მაისის 13-ს დამტკიცებული იმავე მინისტრთა საბჭოს დებულებისა (კან. კრებ. მხ. 998) შესახებ დროებითი გადასახადების დაწესებისა ზედმეტ მოგებაზე იმ ცვლილებით, რომელიც ამ გადასახადში შეიტანა დროებითმა მთავრობამ 1917 წ. ივნისის 12-ს დადგენილებით, და უკანასკნელ განყოფ. მე-III 1915 წ. აპრილის 19-ს და ივლისის 4-ს დამტკიცებული იმავე მინისტრთა საბჭოს დებულებისა (კან. კრებ. მხ. 1004) სამხედრო გადასახადის დაწესების შესახებ.

1918 წ. დეკემბრის 6-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

## ბრძანება

**საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისა**

20 დეკემბერი, 1918 წ.

№ 60.

ბორჩალოს მაზრის გენერალ გუბერნატორი გენერალი წულუკიძე განთავისუფლებულ იქმნას აღნიშნულ თანამდებობიდან და ევალებოდეს მას მხოლოთ სამხედრო მოქმედების ხელმძღვანელობა ხსენებულ მაზრაში.

20 დეკემბერი, 1918 წ.

№ 61.

გამოცხადდეს დუშეთის მაზრა სამხედრო წესებზე და დროებით გენერალ-გუბერნატორათ ამ მაზრისა დაინიშნოს პოლკოვნიკი დავით სრესელი.

20 დეკემბერი, 1918 წ.

№ 62.

ახალციხის და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორი გენერალი მაყაშვილი განთავისუფლებულ იქმნას აღნიშნული თანამდებობიდან და ევალებოდეს მას მხოლოდ სამხედრო მოქმედების ხელმძღვანელობა აღნიშნულ მაზრებში.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია

## განკარგულებანი

**იუსტიციის მინისტრისა.**

19 დეკემბერი, 1918 წ.

№ 56.

დაინიშნა: ბუჰგალტრის თანამდებობაზე სამინისტროს კანცელარიაში დიმიტრი ილარიონის ძე წითლანაძე 1918 წ. დეკემბრის 1-დან.

19 დეკემბერი, 1918 წ.

№ 58.

ინიშნება: ბაქოს ოლქის სასამართლოს წევრი ხარლამპი ვასილის ძე სირბილაძე—ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგად.

იუსტიციის მინისტრი შ. ალექსი-მესხიშვილი.

## სამხედრო მინისტრის გ-ნ გრიგოლ გიორგაძის მოხსენება სამხედრო მდგომარეობის შესახებ,

**წარმოთქმული საქართველოს პარლამენტის 20 დეკემბრის სხდომაზე**

მოქალაქენო! მას შემდეგ რაც გამოირკვა, რომ სომხის მთავრობას არ სურს მშვიდობიანი გზით დაამთავროს ყველა ის საკითხები, რომლებსაც სადავოდ სთვლის, მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ჩვენ ტერიტორიაზე შემოიჭრნენ არა ბანდები, არამედ სომხის რეგულიარული ჯარი, მას შემდეგ, რაც აშკარა შეიქმნა ყველასთვის, რომ მეზობელმა სახელმწიფომ სამხედრო მოქმედება დაიწყო, რასაც დღეს არც სომხეთის დიპლომატია მალავს, არც სომხის ჯარის ხელმძღვანელნი, ერთი ასეთი ხელმძღვანელია ბ. დრო; ამის შემდეგ,—მთავრობამ განკარგულება გასცა, უბრძანა თავის ჯარს აქტიური მოქმედება დაეწყო საზღვრების დასაცავად. აი დღევანდელ დღეს სამხედრო მოქმედება შემდეგ მდგომარეობაშია.

ჩვენ მივიღეთ, რომ ისეთივე მოღალატურ თავდასხმით, რომელიც ჩვენმა მეზობელმა ჩაიდინა სანაინში და მის მიდამოებში, ისეთივე მოღალატური თავდასხმა ჩაუდენია მეორე მეზობელს მაზრაში,—ახალციხის მაზრაში და ეს ჩვენი მოლოდინი გამართლდა:—თექსმეტ დეკემბერს, დილის ხუთ საათზე, სომხის რეგულიარული ჯარის ნაწილი თავს დაესხნენ ყარაულებს, რომელნიც იცავდნენ ჩვენ საზღვრებს ახალქალაქის მაზრაში. და ამ პირველ შეტევის დროს ჩვენი ჯარის კაცებმა უკუ აქციეს მათი შემოსევა და ტყვეთ მათ ჩაუვარდათ მხოლდ ერთი ცხენოსანი ჯარის კაცი, კიდევ რამოდენიმე ხნის, შემდეგ მეორე შემოტევა დაიწყეს და ახლა ამ მცირე შემოტევის დროს მათ უკვე აამუშავეს ტყვიის მფრქვეველნი და სხვა სამხედრო იარაღები, მაგრამ ეს შემოტევა იქმნა უკუ გდებული ჩვენი ჯარისკაცებისგან.

ამის შემდეგ 8 საათზე დაიწყო ბრძოლა მოწინაალმდეგემ.

ჩვენ ჯარს შემოუტია ახლა უკვე ზურგ გამაგრებულმა, როგორც ცხენოსანი ჯარით, ისე ქვეითა ჯარით და ტყვიის მტყორცნელებით, და დაიწყო სასტიკი ბრძოლა. როგორც ღენერალი მაყაშვილი, რომელიც იქ ხელმძღვანელია, უკვე გვატყობინებს,—სასტიკმა ბრძოლამ რვა საათიდან თექვსმეტ საათამდე გასტანა. სხვათა შორის ერთი ადგილი, ერთი პოზიცია ხან ერთ ხელში გადადიოდა, ხან მეორე ხელში. ბოლოს ეს ბრძოლა მითი გათავდა, რომ მოწინაალმდეგე ჯარი უკუ აქციეს, მათ დაედევნენ და სამზღვრებამდის მიაცილეს (ტაში. ხმები: გაუმარჯოს!) ამ სახელოვან ბრძოლაში, სხვათა შორის, როგორც გვაცნობა ღენერალმა მაყაშვილმა თავი იჩინეს პოდპოლკოვნიკმა ხერხეულიძემ და კაპიტანმა კანდელაკმა. აი ეს ახალქალაქ-ახალციხის ფრონტზე.

მეორე დღეს მოწინაალმდეგის ინიციატივით ბრძოლა გაჩაღდა სანაინის მიდამოებში. ჩვენმა ჯარმა შესაფერი პოზიცია დაიჭირა, რაკი გამოვიდა იმ ჯოჯოხეთურ პირობებიდგან, რომელშიაც იქ ისინი მოღალატეებმა ჩააგდეს. აი აქ 17-ს საღამოს ხუთ საათზედ მტერმა ისარგებლა იმით, რომ ცოტა შეღამდა და ამასთანვე ნისლი იყო, დაეშვა მთებიდან და დაიწყო შემოტევა იმ პოზიციებზე, რომელნიც ჩვენ ჯარს ეჭირა. ხელმძღვანელი ამ ბრძოლისა ღენერალი წულუკიძე გვატყობინებს, რომ ორი საათის ბრძოლის შემდეგ მათი შემოტევა შევაჩერეთ, მაგრამ რამდონიმე ხნის შემდეგ მათ კვლავ ძალა მოიკრიფეს და კიდევ განაახლეს შემოტევა. და აი ამ მეორე შემოტევის შემდეგ ჩვენ მოვახერხეთ, რომ მთელი ამ მოწინაალმდეგე ჯარისათვის ალყა შემოგვერტყა. ვინც კი შესძლეს ტყვეთ წამოიყვანს, დანარჩენი მთებში გაიქცნენ. (ვეშაპელი: კუდლლებსავით!) ჩვენ ცნობა გვაქვს, რომ რამდონიმე ჯარის კაცი წამოიყვანეს ტყვეთ. სხვათა შორის საინტერესოა ცნობა, რომ ტყვე ოფიცერთა შორის არის ერთი რუსის ოფიცერი. ჩვენი ჯარის ხელში ჩავარდა აგრეთვე ნიშანი საესკადრონო ნიშანი, რომელსაც ყველა ესკადრონი ატარებს, ე. ი. პატარა ეროვნული ნიშანი, რომელსაც ატარებს ესა თუ ის ნაწილი ცხენოსანი რეგულიარული ჯარისა. როგორც ბრძოლის ხელმძღვანელი ღენერალი წულუკიძე გვატყობინებს ამ ბრძოლაში დაიღუპა, როგორც ის იწერება: доблестный ротмистръ кн. Дадiани. (ვეშაპელი: ქართული წერა კიდევ ვერ ისწავლეს? თავმჯდომარე: „უკაცრავათ უადგილო შენიშვნებს თავი დაანებეთ"). აი ამ გვარად სანაინის ბრძოლა გათავდა ჩვენს სასარგებლოთ.

შემდეგი ბრძოლა მოხდა მესამე ფრონტზე,—ვარანცოვკის ფრონტზე, სადაც ჩვენი გვარდიელები გაემგზავრნენ. იქ ბრძოლა ცხრამეტს სწარმოებდა ე. ი. გუშინ. როგორც იქაური ბრძოლის ხელმძღვანელი ღენერალი ახმეტელაშვილი და ვალიკო ჯუღელი გვატყობინებენ, როდესაც ეკატერინეფელდში მივიდნენ, გვიანი, ღამე იყო. იქ მათ უცდიდა ერთი ნაწილი გვარდიელებისა, მაგრამ მისულმა გვარდიელებმა, რომელთაც უნდოდათ მოსვენება და ძალის მოკრება, ვერც კი მოასწრეს ტანსაცმელის გაძრობა, რომ დილის ექვს საათზე სროლა აუტეხეს. იქ, სადაც დაბანაკებულნი იყვნენ, მოწინაალმდეგებმა ალყა შემოარტყეს ჩვენებს. ის ყარაულები, რომელნიც შორს იდგნენ, იძულებულნი იყვნენ დაეხიათ მოწინაალმდეგნი თითონ შემოიჭრნენ იმ ადგილს, სადაც ჩვენი გვარდიელების ბატარეა იყო და აი აქ მოხდა, როგორც იწერებიან ხელმძღვანელები, საშინელი ბრძოლა. სახალხო გვარდიის წინ მიუძღოდნენ მათი ხელმძღვანელები ვალიკო ჯუღელი, ალექსანდრე მაისურაძე და ალექსანდრე დგებუაძე. მხოლოდ მათმა მამაცურმა გამოსვლამ, თავგანწირულმა მოქმედებამ შესძლო ის, რომ, თუმცა სტრატეგიულად ცუდ პირობებში იყვნენ, მაგრამ მტერი საშინლად დაამარცხეს, მტერი რომელიც შესდგებოდა რვა როტისგან, ჰქონდა ორი ზარბაზანი და რამდონიმე ტყვიის მფრქვეველი. დილის ექვს-შვიდ საათზე ღენერალი ახმეტელი გვატყობინებს, რომ სწარმოებს უკვე ბრძოლა სასტიკი და არ მაქვს საშუალება გელაპარაკოთ, როდესაც გავათავებთ ამ ბრძოლას შეგატყობინებთ მის ამბავსაცო. დამთავრდა თუ არა ბრძოლა, ბრძოლა, რომელმაც თითქმის საღამომდის გასტანა, იმის შემდეგ ჩვენ მივიღეთ ფრიად სასიამოვნო დეპეშა ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ სამწუხარო. ჩვენ მივიღეთ დილით დეპეშა, რომ მტერი სასტიკათ დამარცხდა, რომ ის გარბის, და გვარდიელები მისდევენ. მაგრამ, იმავე დეპეშაში იყო მოხსენებული, რომ იმ ბრძოლაში დაიღუპა ჩვენი ამხანაგი, და გვარდიელი—როგორც იტყობინება ვალიკო ჯუღელი—ჩვენი ამხანაგი სანდრო მაისურაძე.

დღეს, ჩვენ ახალი ცნობა მივიღეთ, რომ ახალქალაქის მაზრაში მოწინაალმდეგემ კვლავ განაახლა თავისი შემოტევა, რომ ქვეითი ჯარი, რომელსაც უკან თან ახლავს არტილერიაც—შემოტევას აწარმოებს. და,—როგორც ხელმძღვანელი იტყობინება,—ჯერ უპირატესობა ჩვენ გვაქვს. პირველი მათ მიერ მოტანილი იერიშები უკუვაქციეთ, და ტყვეთ წამოვიყვანეთ 60 ჯარის კაცი, 2 ოფიცერი, 1 ტყვიისმფრქვეველი, და ერთი ტელეფონის აპარატი. (ტაში).

გუშინ აგრეთვე სწარმოებდა ბრძოლა სანაინის რაიონში.

იქ შეეცადნენ ის პოზიციები, რომელიც ჩვენს ჯარისკაცებს აქვთ, მათ დაეჭირათ. მაგრამ აქაც ჩვენი ჯარისკაცები მედგრათ სდგანან, და ერთ ნაბიჯს თავის პოზიციებს არ უთმობენ მტერს.

აი მდგომარეობა დღეს. სამხედრო მდგომარეობა, ასეთი არის. და ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ რაც უფრო დრო გავა, მით უფრო ჩვენი სამხედრო მდგომარეობა გამოკეთდება.

ის გამოძახილი, რომელიც ჩვენ გვესმის პროვინციიდან, ეს მხურვალე მონაწილეობა ამ თავდასხმის საქმეში, და ამ შეტევის საქმეში ნაყოფიერათ იწარმოებს. დღეს აშკარა შეიქმნა ყველასათვის, რომ ის ტყვია, რომელმაც განგმირა ნამდვილი რევოლიუციონერის, მუშაკის, სახალხო გვარდიის შტაბის წევრის გული; გული ერთი საუკეთესო ადამიანის, ერთი იმ პიროვნების, რომლის ხელშიაც დაარსდა, გაიზარდა და გაძლიერდა სახალხო გვარდიელის—პარლამენტის წევრის, სანდრო მაისურაძეს, გული, ის ტყვია მიმართულია არა რომელიმე პიროვნების წინააღმდეგ, არამედ, მიმართულია იმ დემოკრატიის წინააღმდეგ, იმ თავისუფლების წინააღმდეგ, იმ დამოუკიდებლობისა და რევოლიუციის წინააღმდეგ, რომლის წარმომადგენელი იყო ეს პარლამენტის წევრი, და საუკეთესო რევოლიუციონერი მოღვაწე სანდრო მაისურაძე.

თქვენ გახსოვთ, მოქალაქენო, ის სურათი, რომელიც თქვენ წინ გადაიშალა აქ, მაშინ, როდესაც ჩვენი დამოუკიდებლობის 6 თვის არსებობა ვიდღესასწაულეთ. თქვენ გახსოვთ აი, ის გვარდიელი მუშა, რომელსაც აქ წითელი დროშა ეჭირა; თქვენ გახსოვთ ის ჯარისკაცი, რომელსაც აქ ეროვნული დროშა ხელში ეჭირა. აი ის ტყვია, ის მოქმედება, ეს აგრესსიული მოქმედება, რომელსაც დღეს სომხეთის მთავრობა აწარმოებს, მიმართულია სწორეთ იმ დროშების წინააღმდეგ, მაგრამ,—ეს დროშა უჭირავს ხელში ისეთ საიმედო ადამიანს, პირს; ეს დროშა უჭირავს ისეთ საიმედო ჯგუფს—ჩვენს გვარდიას და რეგულიარულ ჯარს,—რომ ნუ იფიქრებენ ისინი, ვინც ამას სცდილობს, რომ ეს დროშა გამოგვგლიჯონ და ტალახში ამოსვარონ, რომ ჩვენ ამის ნებას მივცემთ.

ჩვენი ვალი კი, მთელი ხალხის ვალი არის, რომ ჯეროვანათ აღვნიშნოთ, ხსოვნა იმ გმირების, რომელნიც ყოველ ფრონტზე იღუპებიან და მამაცურათ იბრძვიან, და აგრეთვე ჩვენი ვალია, მივიღოთ ზომები, რომ მათი ოჯახები უზრუნველყოფილნი იყვნენ. (არსენიძე: „მართალია").

მოქალაქენო! მე ვათავებ ამ ჩემ მოხსენებას დღეს სამხედრო მოქმედების შესახებ, და იმედი უნდა გამოვთქვა, აქედან ხმა უნდა მივცეთ ამ რეგულიარულ ჯარს, და იმ გვარდიელებს, რომელნიც ერთათ იმ რეგულიარულ ჯართან, ხელი ხელს ჩაკიდებული იბრძვის სამშობლოს დასაცავათ, რომ მათთან არის მთელი ხალხი, რომელიც იარაღს ისახავს, რომ დაიცვას თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა (მხურვალე ტაში).

## საქართველოს მთავარი შტაბის ცნობა.

**ბრძოლა ახალქალაქის მაზრაში.**

ტფილისი, 21 დეკემბერი. 20 დეკემბერს, დაახლოვებით დილის 7 საათზე, ახალქალაქის მაზრაში მტერმა ზარბაზნებიდან დაგვიშინა და ჩვენს პოზიციას შემოუტია. ბრძოლამ 12 საათამდე გასტანა. ბრძოლა მტრის დამარცხებით დასრულდა მოწინაალმდეგე გაიქცა თოვლისა და ქარის გამო მტრის დევნა ვერ განვავითარეთ. ბრძოლის ველზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერმა დასტოვა მოკლული 3 აფიცერი და 100-ზე მეტი ჯარისკაცი. ტყვეთ წამოვიყვანეთ 1 აფიცერი, 50 ჯარისკაცი და ხელთვიგდეთ 2 ტყვიის მფრქვეველი, მრავალი თოფი და ტყვია. სომეხთა ის რაზმი, რომელიც ჩვენ გვიტევდა, შესდგებოდა არტილერიიდან, ცხენოსან და ქვეითი ჯარისგან.

**ეკატერინოფელდთან.**

დამატებითი ცნობის თანახმად 19 დეკემბერს ეკატერინოფელდთან ბრძოლაში ჩვენ ხელთ ვიგდეთ 300 თოფი, 1 ტყვიისმფრქვეველი და ტელეფონი.

ეკატერინოფელდი, 20 დეკემბერი. ღამემ მშვიდობიანათ ჩაიარა. ეკატერინოფელდთან დამარცხებულ სომხეთის სამხედრო ნაწილებში მოკლულია 6 აფიცერი და 230 ჯარისკაცი. დაჭრილების წაყვანა მოასწრეს, რასაც მოწმობს სისხლიანი კვალი გზაზე, რომლითაც სომხები უკან იხევდნენ.

სახალხო გვარდიას მოუკლეს 30 კაცი.

# სამშობლოს დასაცავად.

**ტფილისის ქართულ საადგილ-მამულო ბანკის მოსამსახურეთა კორპორაციის მიმართვა**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესადმი.

ქართველი ერის სახელოვანო წინამძღოლო!

მტრის ვერაგულმა და მუხანათურმა ლალატმა დაარღვია ყოველდღიური და სხვათა შორის ჩვენი დაწესებულებისათვის სასარგებლო მუშაობისათვის საჭირო სულიერი სიმშვიდე.

ჩვენს აღშფოთებას საზღვარი არა აქვს, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ნათლად წარმოვიდგინეთ ორ მეზობელ ერთა შორის მომხდარ კონფლიკტის მთელი ისტორია. ჩვენთვის საეჭვო არ არის, რომ ეს ისტორია მხოლოდ ერთ რამეზე ხმა მაღლა ლაღადებს: ეს არის ბრძოლა საქართველოს დემოკრატიისა და სომხურ რეაქციას შორის, ეს არის ბრძოლა ჩვენს რესპუბლიკაში განმტკიცებულ რევოლიუციისა და სომხურ კონტრ-რევოლიუციას შორის, ეს არის ბრძოლა საქართველოს დემოკრატიას მუდამ მშვიდობიანობისა და ერთა სოლიდარობისაკენ სწრაფვისა და სომხურ ჩარჩულ კაპიტალის წარმომადგენელის იმპერიალისტურ დაშნაკცუტიუნის ავანტიურისტულ პოლიტიკის შორის. მტრის წადილია ჩაახრჩოს სისხლის ზღვაში რევოლიუციის მონაპოვარნი, რომელნიც ფრთას ჰკვეცენ სომხურ ჩარჩულ კაპიტალს, და ამაგრებენ დემოკრატიას განურჩევლად ეროვნებისა· რეაქციის სიბნელე—საუკეთესო ნიადაგია სომხურ კაპიტალის გაუმაძღარ მადის გასაშლელად, და მისი პოზიციების უზრუნველ საყოფად. სომხის ხალხი მხოლოდ ბრმა იარაღია რეაქციონურ დაშნაკცუტიუნის ხელში. მას სურს აღძრას თავის ერში პირველ ყოფილი ზოოლოგიური, შოვინისტური ინსტინქტები, და მათი საშუალებით მიაღწიოს თავის საწადელს, ესე იგი გამოიყენოს საექსპლოატაციო მასალად როგორც თვისი ერის, ისე მეზობელ ერის მშრომელი დემოკრატია. ამიტომ დაშნაკცუტიუნის წინააღმდეგ ბრძოლა არის ბრძოლა რეაქციასთან და კონტრ-რევოლიუციასთან. ამ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში დაშნაკციუტიუნის გამარჯვება იქნებოდა დამარცხება ჩვენი რესპუბლიკის მთელი დემოკრატიისა განურჩევლად ეროვნებისა, და რევოლიუციონურ მონაპოვართა მოსპობა. მხოლოდ ჩვენთვის, გარდა დემოკრატიის დამარცხებისა, იქნებოდა, ჩვენი ერის ყოველივე პერსპექტივების გაქრობა, და მისი სულიერად დაცემა და გახრწნა.

ტფილისის ქართულ საადგილ-მამულო ბანკის მოსამსახურეთა კორპორაციამ მთელი თავისი შემადგენლობით, შეიკრიბა რა სამშობლოსათვის და დემოკრატიისათვის განწირულ დღეებში, განიხილა ზემორე მოყვანილი მოსაზრებანი, და ერთხმად გადასწყვიტა: მთელი თავისი მორალური, მატერიალური და ფიზიკური ძალები მოახმაროს რესპუბლიკის თავდაცვის საქმეს.

სახელოვანო ბელადო! მიიღე ჩვენი მსხვერპლი, გვიწინამძღვრე და შეალიე ერის ძალებთან ერთად ჩვენი ძალებიც მტერს მანამდის, სანამ დაშნაკციუტიუნის სამხედრო პარტია სრულიად არ იქნება განადგურებული და დღეს ჩვენთან მტრულად მომქმედ მეზობელ ერში არ გაიღვიძებს ჭეშმარიტი დემოკრატია. მხოლოდ უკანასკნელის გამარჯვება არის ერთად ერთი თავდები ორ მეზობელ ერთა შორის მტკიცე მეგობრულ განწყობილების სამუდამოდ დამკვიდრებისა.

კრების თავმჯდომარე: მიხ. გრუზინსკი.

**სამხედრო სამოსამართლო უწყების ხმა.**

დღეს სამშობლოს დაუდგა განსაცდელი დღე და თქვენ ბედნიერნი ხართ, რომ მამულს განსაცდელს ააცდენთ.

დღეს თქვენ უნდა დაამტკიცოთ, თუ რამდენ გიყვართ თქვენი სამშობლო და ჩვენც ვიცით რომ თქვენ საქართველოსაგან დაკისრებულ მსხვერპლს გაიღებთ სიხარულით.

ჩვენ სრული იმედით შემოგყურებთ, თქვენ ღირსეულთ შვილთ მამაც წინაპართა. ჩვენ გვწამს, რო თქვენ მიერ ამოღებული ლახვარი არ ჩაიგების, ვიდრე ბრწყინვალე გამარჯვებით არ შეჰმოსავთ ჩვენს დროშებს.

ჩვენ ვიცით, რომ თქვენ გაამართლებთ იმ იმედებს, რა იმედებისათვისაც იგზავნებით ბრძოლის ველზე, და ვით სამასი ხევსური ძმათ გაფიცულნი ან გაიმარჯვებთ და ან დაიხოცებით.

ჩვენ გვწამს, რომ დღეს, როდესაც საფრთხე მოელის რევოლიუციით მონაპოვარ თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს, თქვენ აღიჭურვებით რაინდულ სიმამაცით და ქართველთ გმირობის სახელს კვლავ მოჰფენთ არეს. ჩვენ ვიცით თუ რაოდენ ძვირფასია თქვენთვის თავისუფლება.

ჩვენ ვიცით ყველა ეს და ამისთვის დამშვიდებულნი უცქერით მომავალს.

მტერს შევხვდებით გმირულად, თავს არ დავზოგავთ და გავიმარჯვებთ.

მამულიშვილნო! ექვს თვე ნახევარია რაც საქართველო დამოუკიდებელი და დემოკრატიული რესპუბლიკაა.

დამოუკიდებელ და თავისუფალ რესპუბლიკის კარები ღია იყო ყველასათვის, ღია იქნება ეხლაც ყველა თავისუფლების მოყვარულ ერთათვის, ყველა მათ კი, ვინც ჩვენი თავისუფლების მტერია, უნდა შევებრძოლოთ.

მამულიშვილნო! სრულიად უმიზეზოდ ჩვენს სამშობლოს შემოესია მტერი, თავს დაესხა ჩვენს მოსაზღვრე მცირე რიცხოვან ჯარს, ამოხოცა, ვერაგულად გადმოლახა ჩვენი საზღვრები და ლამობს ჩვენ დამოუკიდებლობის, ჩვენ რესპუბლიკის მოსპობას.

წინ მეომარნო!

შევეგებოთ მტერს და ვაჩვენოთ, თუ როგორ უნდა დაისაჯონ ისინი, ვინც ჩვენ მოსპობას ფიქრობს.

წინ მამულიშვილნო! კიდევ ერთხელ დაუმტკიცოთ მტერს თუ როგორ გვიყვარს ქართველთ სამშობლო და თავისუფლება.

მეომარნო! სამხედრო სამოსამართლოს უწყებას სწამს, რომ თქვენ გამჯდარი გაქვთ სიყვარული თავისუფლებისა.

სულ მცირე ხანში, ექვს თვე ნახევარში თქვენ, როგორც ნაფიც მსაჯულთ ოფიცერმა თუ ჯარის კაცმა უჩვენეთ სამშობლოს თუ როგორ ექცევით სასამართლოში მათ, ვინც ჩვენ დემოკრატიის მტერია, როგორ ექცევით სასამართლოში მათ ვინც ჩვენ დემოკრატიის კანონებს არღვევდა, ეხლა კი თქვენ უნდა უჩვენოთ სამშობლოს თუ როგორ უნდა მოეპყრათ მათ ვინც ჩვენ თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოსპობას ლამობს.

მაშ ბრძოლის ველზედ მეომარნო, ბრწყინვალე გამარჯვებისაკკენ.

**რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ**

გუშინ, 20 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ძალაში შედის პირველ დეკემბრიდან და რომლის ძალითაც სახელმწიფომ უნდა ჩამოართვას მთელი ქონება იმ პირებს, რომელნიც მტერს ხელს უწყობენ და ეხმარებიან ფულით, სიტყვით, ან იარაღით. ქონება გადადის სახელმწიფო ხაზინის ხელში.

**ოზურგეთის ერობისაგან**

მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო ოზურგეთის მაზრის ერობისაგან შემდეგი: „სანაინ-ვორონცოვკის გმირებმა“ უკვე დაღვარეს ძმათა შუა სისხლი, რომ შიგ ჩაახრჩონ ჩვენი სისხლით და ბრძოლით მოპოებული თავისუფლება და დამოუკიდებლობა. გურიის ერობას სწამს, რომ ჩვენი მთავრობა ყოველგვარი ზომებით ეცდება ომის თავიდან აცდენას და რამდენადაც ღრმაა ეს რწმენა, იმდენად მტკიცეა ერობის გადაწყვეტილება მთელი ძალღონით მოეხმაროს მთავრობას საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვაში.

**დაჭრილი გვარდიელები**

ბრძოლის ველიდან ყარსის რკინის გზით უკვე ჩამოჰყავთ ტფილისში დაჭრილი ჯარისკაცები და სახალხო გვარდიელები. ჯარისკაცებს ათავსებენ სამხედრო ჰსენონში ნავთლუღში, მხოლოდ დაჭრილ გვარდიელებს—საავადმყოფოში № 41, რომელიც პეტრე დიდის ქუჩაზეა. ჰსენონ № 41 გუშინ წინ ჩამოიყვანეს შემდეგი ომში დაჭრილი გვარდიელები: ცხენოსანთა ბატარეის უფროსი—პოდპორუჩიკი ვასაძე და ცხენოსანი გვარდიელები ნიკო შერვაშიძე, კირილე ალხაზაშვილი, იულიან წიმაქურიძე, ზაქარია აბაზაშვილი და ტყეშელაშვილი. მათგან მძიმეთ დაჭრილი ტყეშელაშვილი იმავე ღამეს გარდაიცვალა.

**ფულის დალუქვა**

მთავრობის განკარგულებისამებრ ტფილისის ბანკებში დაბეჭდეს ფულის შესანახი ყუთები იმ თანხით, რომელიც სომხეთს ეკუთვნის.

**ყავარჯენების შეკვეთა**

სახალხო გვარდიის შტაბმა ქალაქის გამგეობას შეუკვეთა დაჭრილ გვარდიელებისათვის 100 ყავარჯენის დამზადება.

# დიპლომატიურ მოლაპარაკების შეწყვეტა სომხეთთან.

თანახმად საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ ცნობისა სომხების ჯარების უფროსის ჰდროსაგან, რომ სომხის ჯარებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვრები სომხის მთავრობის ბრძანებით, საქართველოს მთავრობამ იცნო ეს აქტი პირდაპირ ომის გამოცხადებათ და სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს ჯამალიანს გადასცა ნოტა, რომ ამიერიდან საქართველოსა და სომხეთ შორის ყოველივე დიპლომატიური მოლაპარაკება შეწყვეტილია.

## ბათუმში ამერიკისა და ინგლისის მისიასთან ჩვენი წარმომადგენელი.

(საქ. დეპ. სააგ.)

ბათუმი, 20 დეკემბ. (საკუთ. კორესპ.) გუშინ აქ ჩამოვიდა ამერიკის მისია, რომელსაც თავმჯდომარეობს ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი დ-რი ჯატსენი. ჩვენმა წარმომადგენელმა ინახულა ჯატსენი და საქართველოს მთავრობის სახელით მემორანდუმი გადასცა. საუბრის დროს იგი მრავალ საკითხებს შეეხო ჩვენს შესახებ. დიდხანს შეჩერდა სოციალურ კითხვაზე, მიწათ მფლობელობაზე ჩვენს სამხედრო ძალასა და მის თვისებაზე, გვარდიაზე, მთავრობის შემადგენლობაზე, ინტერნაციონალისადმი მიმართულ წერილზე, ხელფასზე, შრომის პირობებზე და გაკვირვება გამოსთქვა დიდ ჯამაგირებზე და იმ მძიმე პირობებზე, რომელშიაც იმყოფება კაპიტალი ჩვენში. იკითხა ჩვენი მიზნების შესახებ, თუ რამდენათ შეუძლია ჩვენს ჯარს წინააღუდგეს ბოლშევიკებს თუ შემოესიენ ისინი საქართველოს. ჩვენი წარმომადგენლის ყველა ამაზე პასუხით პროფესორი კმაყოფილი დარჩა და განუცხადა, რომ ამერიკა და ინგლისი მეგობრები არიან და რომ მთელ ქვეყნიერებაზე წესრიგის დამყარების საქმეში მათ შორის თანხმობა და სოლიდარობაა. ბოლოს მან აღუთქვა წარმომადგენელს, რომ საქართველოს საჭიროებას და იმედებს ფართოდ გააცნობს ევროპას. 16 დეკემ. მოვიდა ინგლისის რამდენიმე ხომალდი, რომლითაც ინგლისელთა მისიის ნაწილი ჩამოვიდა. მისიის თავმჯდომარეს და ჯარს ამ რამოდენიმე დღეში მოელიან. სომხებთან შეტაკების გამო საქართველოს წარმომადგენელმა წარუდგინა ინგლისის წარმომადგენელს ნოტა, რის შემდეგაც საგანგებო მატარებლით საჩქაროდ გაემგზავრა ტფილისს სომხეთის წარმომადგენელი ჯამალიანი, რომელიც იმ ჟამათ იქ იმყოფებოდა. დღესვე გადაეცა ინგლისის წარმომადგენელს პროტესტი საქართველოს ტერიტორიის ოსმალეთის ჯარის მიერ გადალახვის გამო, აგრეთვე ნოტა პირდაპირ მატარებლების მიმოსვლის შესახებ ბათუმის და ტფილისის შორის. მოვიდა გემი „ჩერნომორი“, რომელიც მოხალისეთა ჯარის კუთვნილებას შეადგენს. ჩამოიყვანა 800 ლტოლვილი, ამათგან 60-მდე რუსია, დანარჩენი სომეხი.

# ბორჩალოელ მუსულმანთა განცხადება.

„ჩვენ, ბორჩალოს მაზრის მუსულმან მცხოვრებლების წარმომადგენელ მამედ გაჯი-ოღლი და ჰუსეინ თახმაზ-ოღლი, ჩვენი ხალხის სახელით აუცილებელ საჭიროდ ვსთვლით განუცხადოთ მთელი ქვეყნის დემოკრატიას და მთავრობებს შემდეგი: „საქართველოს მთავრობა, რომლის ტერიტორიაზე ჩვენ ვცხოვრობთ დიდი ხანია, რამდენჯერმე მიმართავდა ადერბეიჯანის და სომხეთის მთავრობებს წინადადებით, რომ მათ გამოეგზავნათ თავისი დელეგატები ამიერ-კავკასიის კონფერენციაზე, რომელმაც მშვიდობიანი გზით უნდა გადასწყვიტოს საერთო შეთანხმების საფუძველზე ყველა სადავო საკითხები ამიერ კავკასიის რესპუბლიკებს შორის, მათ შორის კითხვა ჩვენ ბორჩალოს მაზრის შესახებაც. ადერბეიჯანის მთავრობა დათანხმდა ამ წინადადებაზე და დანიშნა თავის დელეგატები, მაგრამ სომხეთის მთავრობამ გამოურკვეველი მოსაზრებით თავი შეიკავა დელეგატების გაგზავნაში და სადავო კითხვების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტაში მანამდე, სანამ სომხების რეგულიარულმა ჯარმა არ დაიწყო შემოტევა

ჩვენ კატეგორიულათ ვაცხადებთ: წინააღმდეგი ვართ რა საერთოდ ყველა ომებისა, ვთვლით აუცილებელ საჭიროდ და მოვითხოვთ, რომ ეს უაზრო და საზარელი ომი დაუყოვნებლივ დასრულდეს. სომხეთის მთავრობამ, რომელიც გამომწვევია ჩვენ ტერიტორიაზე შემოსევისა და რომელიც ჰფიქრობს ჩვენი მიწები შეუერთოს თავის სახელმწიფოს, უნდა იცოდეს, რომ ჩვენ, ბორჩალოს მაზრის მუსულმან მცხოვრებლებს, არ გვახსოვს ჩვენ ისტორიაში დრო, როცა ჩვენ ვყოფილიყვეთ სომხეთის ქვეშევრდომნი. ჩვენ იმ თავითვე შევდიოდით საქართველოს საზღვრებში და ვცხოვრობდით აქ. ამიტომ სომხეთის მთავრობის სურვილი, რომ ძალათ შეგვიერთოს თავის სახელმწიფოს, მიგვაჩნია ჩვენ საკვირველად.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეხლანდელ რევოლიუციათა ხანაში, ყოველ ერს აქვს, უფლება გამოარკვიოს თავისი ბედი და ჩვენ ვერ დავყაბულდებით იმას, რომ ჩვენდა დაუკითხავად, ჩვენი ნების წინააღმდეგ, ჩვენ შეგვაერთონ ამა თუ იმ სახელმწიფოს. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამიერ კავკასიის კონფერენციამდე, ყველა კითხვების მშვიდობიანი გზით გადაჭრამდე, ჩვენ ბორჩალოელები, ვთვლით რა ჩვენს თავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეთ, ყოველ ძალღონით მოვალე ვართ დავეხმაროთ ჩვენს მთავრობას. ამიტომ სომხეთის მთავრობას ვაძლევთ კატეგორიულ წინადადებას, რომ მან დაუყონებლივ შესწყვიტოს სამხედრო მოქმედებები, გაიწვიოს თავისი ჯარები საზღვარს იქით და შეუდგეს ბორჩალოს კითხვის, ისევე, როგორც ყველა სხვა სადავო კითხვების, მშვიდობიანი გზით და საერთო შეთანხმებით გადაჭრას.

ვაცხადებთ საყოველთაო ცნობათ იმასაც, რომ ჩვენ, როგორც რუსეთის დიდი რევოლიუციის შეგნებული და რევოლიუციონური მოქალაქენი, არას დროს არ დაუშვებთ იმას, რომ გამოიწვიონ ანარქია ჩვენს სამშობლოში და დაემუქრნენ ჩვენ ბუნებრივ და პოლიტიკურ უფლებებს. ჩვენ მზათ ვართ დავიცვათ ჩვენი ტერიტორიები და თავისუფლება ყოველგვარი შეიარაღებული ძალისაგან, რომელიც მოიწადინებს ჩვენს დამონებას. ამის შემდეგ პასუხისმგებლობა ყველა შედეგებზე, რომლებიც ამას შეიძლება მოჰყვეს, ეკისრება მხოლოდ ჩვენს მტრებს.“

# ტფილისის მუშათა საბჭოს სხდომაზე

საბჭოს ხხდომას მრავალი საზოგადოება დაესწრო.

საბჭოს, თავმჯდომარე ბ. ნოე ჟორდანიას წინადადებით სხდომამ ფეხზე ადგომით პატივი სცა მტერთან ბრძოლაში გმირულათ დაღუპულთა ხსოვნას. მომხსენებელმა ბ. ევგენი გეგეჭკორმა ნათლად გაარკვია ერევნის მთავრობის მუხანათური თავდასხმა საქართველოზე და დაამტკიცა საქართველოს უდრეკი სურვილი სადავო საკითხთა მშვიდობიანი გზით გადაჭრისა. რამოდენიმე ორატორის სიტყვის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ნ. ნ. ჟორდანიამ:

„ისეთ პოლიტიკურ საკითხის გარჩევაში, როგორც არის ჩვენს წინაშე წამოყენებული საკითხი, აუცილებლად საჭიროა გამორკვევა საქმის ფაქტიური მდგომარეობისა. ომი უკვე სწარმოებს. ეს ომი სომხეთის მთავრობის წყალობით დაიწყო. საზოგადოთ, ომი არის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის გამოხატულება. საგარეო პოლიტიკის წარმოება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი წყობილებაა სახელმწიფოსი და ვინ უდგია მას სათავეში. ამ პოლიტიკას აწარმოებენ ხან იარაღით, ხან ისე, უიარღოთ. ახლა თუ შევადარებთ ერთმანეთს სომხეთის და საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებას, დავინახავთ, რომ იქ სულ სხვა ჯგუფები განაგებენ სახელმწიფოს,—აქ სულ სხვა. იქაც არის პარლამენტი, აქაც არის პარლამენტი. ერთი შეხედვით თითქოს იქ და აქ ერთნაირი წყობილება ეგონება კაცს, მაგრამ ეს ასე არ არის. იქ პარლამენტში დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ დაშნაკელები და კადეტები. ჩვენს პარლამენტში კი უმრავლესობას წარმოადგენენ სოციალ-დემოკრატები და სხვა სოციალისტები. ჩვენ გვაქვს მუშათა დეპუტატების საბჭო. ჩვენი ამხანაგები თავის მოქმედებაში პასუხის მგებელნი არიან არა მარტო პარლამენტის წინაშე, არამედ საბჭოსაც უნდა მისცენ თავის მოქმედების ანგარიში. ჩვენი მთავრობა სოციალისტურია, სომხის მთავრობა კი ნაციონალისტური და კადეტური.

აქედან ცხადია, რომ იქ სულ სხვა პოლიტიკას აწარმოებენ, ვინემ ჩვენში. არავის არ ახსოვს სოციალისტებს ვინმესათვის ომი გამოეცხადებინოთ. ომს აცხადებენ ყოველთვის ნაციონალისტები და ლიბერალები. რომ გაამართლონ ომის გამოცხადება, ისინი ამისათვის თხზავენ ტყუილს. მოიგონეთ 1870 წ. ომი. ბისმარკმა ომი მოტყუებით დაიწყო, ფალსიფიკაციური დეპეშა გახადა ომის საბაბათ. თანამედროვე ომი ვილგელმა იმით დაიწყო, რომ თითქოს გერმანიას თავს დაესხნენ. ნამდვილად კი თვითონ იყო თავდამსხმელი და სერბიაზე თავდასხმით დაიწყო ეს ომი.

ჩვენს და სომხეთ შორის ომი რო გავარჩიოთ დავინახავთ, რომ აქაც, ასეთი ტყუილებით დაიწყეს ომი. სომხის მთავრობამ შეთაზა, რომ თითქოს საქართველოს ჯარებმა სროლა აუტეხა სომხეთის ჯარებს და ამიტომ გაჩაღდა ეს ომი. „ზნამია ნაროდა“-შიც არის მოთავსებული წერილი სათაურათ: „სიმართლე სანიინის ამბების შესახებ“. ამ გაზეთში ისეა ცნობები მოყვანილი თითქოს სიმართლე იყოს, ნამდვილად კი სიმართლეს სრულებით არ შეიცავს.

საქმე ასე იყო: 10 დეკემბერს ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ ლორის რაიონის საზღვარზე არის სროლა. ჩვენ საქმის გასარკვევად გავგზავნეთ დელეგაცია გერასიმე მახარაძის მეთაურობით. როცა დელეგაციას ვგზავნიდით ჩვენ არაფერი არ ვიცოდით იმის შესახებ. დელეგაცია მივიდა, სანამ შეიძლებოდა მისვლა, გამოიხმო გლეხები უზულარიდან და გამოიკითხა საქმის ვითარება. დელეგაცია დაარწმუნეს, რომ ეს არის ადგილობრივი გლეხების მიერ შექმნილი მდგომარეობა. ეს იყო 11 დეკემბერს. ამასობაში ჩვენ ვიცით რომ 9 დეკემბერს მდივანი, ჩვენი წარმომადგენელი, იყო კარაკლისში და მას ჩააბარეს ულტიმატუმი. ხოლო 10 დეკემბერს სომხის ჯარის სარდალმა დრომ გადასწყვიტა შეტევაზე გადასულიყო. მდივანმა ამის შესახებ პროტესტი გაუგზავნა საფრანგეთის წარმომადგენელს ერევანში. როგორც აღვნიშნე ჩვენი დელეგაცია დარწმუნდა იმაში, რომ ამ ამბავს ადგილობრივი ხასიათი აქვს და ჩქარა მოწესრიგდება. აქედან თქვენ ხედავთ, თუ როგორი ტყუილები შეთხზეს მათ, რომ გაემართლებიათ ეს ომი. აი საქმის მდგომარეობა. აქ ამხ. ზურაბოვი ამბობდა, რომ საქართველოს და სომხეთის შორის საზღვრების საკითხი დაიბადა ამ რესპუბლიკის ცალკე არსებობაში.

ეს მართალი არ არის. საზღვრების საკითხი არსებობდა რევოლიუციამდე. ეს კითხვა იყო წამოყენებული საერობო თათბირზედაც. ჩვენ ვფიქრობდით ეს საკითხი გადაგვეჭრა შეთანხმებით კონფერენციაზე. და ამ კონფერენციაზე საფუძველი ჩაგვეყარა ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციისა ანუ ფედერაციისათვის. მაშინ არ იქნებოდა დიდი საჭირო ტამოჟნები. ეს [თქვენი პოლიტიკა, ამიტომ სულ არ ჰგავს იმ პოზიციას, რომელიც უჭირავს სომხის მთავრობას. ნაციონალისტების გამარჯვება დემოკრატიაზე ამ შემთხვევაში ნიშნავს რეაქციის გამარჯვებას. ჩვენს ნაციონალისტებს რომ ჰქონდეს აპარატი ასევე მოიქცეოდნენ, როგორც იქცევიან სომხის ნაციონალისტები. ისინი ჯერ ჩვენს მთავრობას ჩამოაგდებდნენ, შემდეგ კი სომხებზე გასწევდნენ ჩვენთვის საინტერესოა ეს მათი (ნაციონალისტების) პოლიტიკა საბოლოოთ დამარცხებულ იქნას. ეს კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სომხის ხალხი დაინახავს, რომ ამ პოლიტიკამ არაფერი კარგი არ მოუტანა. ხალხი ფაქტებზე სწავლობს. ჩვენ ვდგევართ ომის შეწყვეტის წინადადებაზე იმ პირობით, რომ სომხის ჯარები დაუბრუნდნენ ძველ საზღვრებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იფიქრებენ, რომ საგარეო პოლიტიკის წარმოება შეიძლება იარაღის საშუალებით. თუ მშვიდობიანი გზით ვერ მივაღწიეთ იმას, რომ სომხებმა ჯარები წაიყვანონ ძველ საზღვრებზე. მაშინ იარაღის საშუალებით ვიზამთ ამას. ჩვენ მათ ვაიძულებთ გასწმინდონ დაკავებული ადგილები (ტაში). ჩვენ რომ ეკატერინოფელდზე წითელ-გვარდიელები არ გაგვეგზავნა, მაშინ ისინი სადმე აქ ახლოს იქნებოდენნ, თუ დაშნაკელების პოლიტიკა ახლა საბოლოოდ არ დამარცხდა, მაშინ ხვალ მუსავატისტები წამოდგებიან და ამ პოლიტიკის წარმოებას დაიწყებენ. ამიტომ ჩვენ მათი პოლიტიკა უნდა დავამარცხოთ, ან მშვიდობიანი გზით ან შეიარაღებული ძალით (ტაში).

შემდეგ საბჭომ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

ტფილისის მუშათა საბჭოს დეპუტატებმა მოისმინეს მოხსენება სომხეთის საზღვარზე მომხდარ ამბების შესახებ და სთვლის დამტკიცებულად, 1) რომ სომხეთის მთავრობას არა თუ არ გადუდგამს ნაბიჯი, რომ მშვიდობიანათ გადაჭრილიყო სადავო კითხვები ორ მოძმე ხალხთა შორის, არამედ, მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოს მთავრობა არა ერთხელ შეეცადა მოეწვია სამშვიდობო კონფერენცია სადაო საკითხების გადასაჭრელათ, სომხეთის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა გადაედო სომხეთ-საქართველოს დავის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა კონფერენციაზე არ გამოგზავნა თავისი დელეგატები; 2) რომ სომხეთის მთავრობამ გამოაცხადა მობილიზაცია და შეტევა დაიწყო იმ დროს, როცა საქართველოს მთავრობა ძმურათ ხელს უწვდიდა და კონფერენციაზე ელოდა სომხეთის დელეგატებს.

ტფილისის მუშათა საბჭო, როგორც ქ. ტფილისის მთელი დემოკრატიის ორგანო პროტესტს აცხადებს სომხეთის მთავრობის ასეთ ნაბიჯებზე, რომელიც დემოკრატიის დამღუპველია, და აცხადებს, რომ ის მთელი ძალ-ღონით მხარს დაუჭერს საქართველოს მთავრობას იმათ წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინც ხალხთა შორის სადავო საკითხების გადაწყვეტას იარაღის საშუალებით ლამობს. მასთან ერთად საბჭო ფიქრობს, რომ საქართველოს მთავრობის წინადადება ერთათ-ერთი ნაბიჯი და საშუალებაა ომის საჩქაროდ ლიკვიდაციისათვის: საომარ მოქმედების შეწყვეტა, სომხეთ-საქართველოს კონფერენციის მოწვევა და ამ უბედურების ნამდვილ დამნაშავეთა გამორკვევა, რომ ისინი შესაფერისათ დაისაჯონ. საბჭო დარწმუნებულია, რომ ნაციონალისტთაგან და სომეხ-კადეტთაგან შემდგარ სომხეთის მთავრობის საქართველოს მთავრობაზე გამარჯვება ნიშნავს კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებას რევოლიუციაზე, ნაციონალისტების — ინტერ-ნაციონალისტებზე და ბურჟუაზიის გამარჯვება—პროლეტარიატზე.

## სიღნაღი.

12 დეკემბერს, როგორც სხვაგან სიღნაღშიც მოეწყო სახალხო გვარდიის დღე. ქალაქს დილიდგანვე სადღესასწაულო ელფერი ჰქონდა. 11 საათზე მოწაფენი სიღნაღის გიმნაზიის და პირველ დაწყებითი სასწავლებლისა მწყობრათ გაემართნენ თავისუფლების ბაღისაკენ რევოლიუციონური სიმღერებით. აქედან გაერთიანებული მოსწავლე ახალგაზდობა გაემართა ჩხეიძის ქუჩით ყაზარმებამდი. ამ დროს თოფებით შეიარაღებულნი წითელი დროშით გამოვიდნენ სიღნაღელი სახალხო გვარდიელნი. მალე მოვიდნენ წითელი დროშით და შეიარაღებულნი ჰოტორ-ნუკრიანელი სახალხო დამხმარე გვარდიელნი შტაბის წევრმა გამრეკელაშვილმა გახსნა მიტინგი და გააცნო დამსწრეებს გვარდიის დღის მნიშვნელობა. გვარდიას მიესალმნენ აგრეთვე სოც. დემოკრატიული მუშ. პარტიის სიღნაღის მაზრის ორგანიზაციის წარმომადგენელი, ქ. სიღნაღის თვითმმართველობის წარმომადგენელი სოციალ ფედერალისტების და რადიკალ-დემოკრატების წარმომადგენელნი.

ხალხი ვაშას ძახილით დაიშალა. ამავე დილით გამართული იყო კიოსკები და იკრიფებოდა ყულაბებით ფული.

საღამოთ გაიმართა ძველ კლუბში სურათების ჩვენება. ახალ კლუბში წარმოდგენა და სამოქალაქო სასწავლებელში ცეკვა, ბუფეტი, კიოსკები და სხვა.

დღემ მეტად მხიარულად ჩაიარა და ხალხი მეტად თანაგრძნობით შეხვდა.

ასეთივე დღესასწაულები გაიმართა აგრეთვე ლაგოდეხში, წელისციხეში და სხვაგან.

—

სიღნაღის ქალაქის ხმოსანთა საბჭომ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა პარლამენტის და მთავრობის თავმჯდომარეებს:

სიღნაღის ქალაქის ხმოსანთა კრება ესალმება საქართველოს პარლამენტს და მის დემოკრატიულს მთავრობას ნახევარი წლის ენერგიულ და დაუღალავ მუშაობისთვის დამოუკიდებელ დემოკრატიულ წყობილების განსამტკიცებლად. გისურვებთ შემდეგშიაც ნაყოფიერ მუშაობას. გვიგულეთ თქვენს ერთგულათ. საბჭოს თავმჯდომარე ი. კრაწაშვილი.

—

სიღნაღის ქალაქის მილიციის უფროსი აცხადებს სახლის პატრონების საყურადღებოდ რომ თანახმად კანონისა ერთის კვირის განმავლობაში წარმოადგინონ ცნობები, თუ რა და რა საწყობებია მათ შენობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხის გებაში მიეცემიან.

—

სამაზრო საპყრობილედან გაიქცა ორი ტუსაღი.

—

სიღნაღის მაზრის ერობის გამგეობა სთხოვს რაიონის კომისრებს შეატყობინონ დაუყონებლივ არის თუ არა მინდვრის თაგვი მათ რაიონებში.

ერობის გამგეობა აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ წყლების და გზების გასაყვანად უნდა მიმართონ ერობის გამგეობას და არა კერძო პირებს, როგორც ეს დღემდის იყო.

22 დეკემბერს მოხდება ერობის სადგომში სააგრონომიო და საზეითალო კომისიის სხდომა სამოქმედო გეგმის შესამუშავებლათ.

კოოპერატიულმა კავშირმა მიიღო ერთი ცისტერნი ნავთი.

სიღნაღის მაზრის კოოპერატივთა კავშირმა კავშირის ბინაზე გახსნა ორ-კვირეულ საკოოპერაციო კურსები. ლექციების კითხვა დაიწყებოდა ამ წლის 9 დეკემბერს. მსმენელთ შეასწავლიან, როგორც თეორიას, აგრეთვე კოოპერატივებში ანგარიშების წარმოებას.

კურსებზე მოკავშირე—კოოპერატივთა თითო მოანგარიშის დასწრება სავალდებულოა, ამიტომ ნახევარი ნაწილი იმ ხარჯებისა, რომელსაც გამოიწვევს კურსები, შეეწერება მოკავშირე კოოპერატივთ. არა მოკავშირე კოოპერატივებმა თავიანთი მოანგარიშენი უნდა თავის ხარჯზე გამოგზავნონ. კურსებზე დასწრება გარეშეებსაც შეუძლიანთ.

## ქრონიკა

○ სტამბის ტეხნიკურ მიზეზების გამო დღეს საქართველოს პარლამენტის სტენოგრაფიულ ანგარიშების მორიგი დამატება არ გამოსულა.

○ 19 დეკემბერს სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველ სტუდენტ-ქალთა კრება შესდგა. კრების საგანი დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა იყო.

○ 19 დეკემბერს გზათა სამინისტროს ბინაზე მოდარაჯე რკინის გზის მილიციონერი ლეჟავა სადარაჯო ბინიდან გამოსულა მესამე სართულში და მოუთხოვია ჩაი. მსახურს უთქვამს, რომ ჩაი კი არის, მაგრამ ამ სიბნელეში სად გიშოვო ჭურჭელიო. ლეჟავა დაბრუნებულა თავის ბინისკენ და სიბნელეში ველარ გაურჩევია ბინის კარები და ასაყვან მანქანის ოთახში შეუღია კარი, ეს მანქანა კი ჯერ არ არის გაკეთებული, და მესამე სართულიდან ძირს ჩამოვარდნილა ვინტოვკით. ლეჟავა საავათმყოფოში წაიყვანეს. იგი საშიშ მდგომარეობაშია.

○ დღეს, 21 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე სასახლეში პარლამენტის ქვესტორის კაბინეთში დანიშნულია სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებათა ლექტორთა კრება. ყველას დასწრება აუცილენლათ საჭიროა.

განცხადებები

სასადილო საზოგადოება „იმედი“-სა

ქალთა წრემ განაახლა მუშაობა სასადილო „იმედისა“. ყოველ დღე მზადდება გემრიელი სადილები 1 საათიდან—5 საათამდინ. მოწვეულია საუკეთესო მზარეული. ფასები დაკლებულია. სასადილო იმყოფება ძველ სემინარიის შენობაში. 1173 12—5

დიდი ხნის ნამსახური ასწავლის ბეჭდვას

ქართულ საწერ მანქანებზე

და ამზადებს სპეციალურად დაწესებულებებისათვის (ყველა სამსახურის ქაღალდების ფორმების შესწავლით). აქვე ასწავლიან ქართულ ენას. ლერმონტოვის ქ., № 29. 1154 8—7

ექიმი ი. კ. აზაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.
ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველფლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$— 6 საათამდე.
პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.
№ 719.

კლემენტი ფრიდონის ძე ხომასურიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე, რომელშიც იყო 633 მან., ჩეკის წიგნაკი, მოწმობა, მიღებული სამხედრო უწყების სათბობ მასალის კონტორიდან და 6 ცალი ლატარიის ბილეთი. მპოვნელს სთხოვს ფული დაიტოვოს და დოკუმენტები დაუბრუნოს შემდეგი მისამართით: დამოჟნის ქუჩა, № 4, ვასილ ბურდილაძეს. 1180 3—3

სოფ. გუნია კალას (ბორჩ. მაზ.) მცხოვრებთ დანიელ სავისძე ჰაიტოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, მიღებული მთავარ სასურსათო საბჭოდან 1618 წ. დეკემბრის 17-ს, № 2095/3519, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1201 2—1

მელიტონ ალექსის ძე ერაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, ქალაქის ფურნიდან მიცემული კვიტანცია და ფულათ 85 მანეთი. მპოვნელს სთხოვენ ფული დაიტოვოს და საჭირო ქაღალდები დაუბრუნოს შემდეგი მისამართით: პირველი უბანი, პირველ პეტროვსკის ქუჩა № 6 სახლი ივანე მირზოევსა.
1184 3—3

კონსტანტინე ფელიკოვი აცხადებს, რომ მას ჯიბიდან მოპარეს აზოვსკო დონსკოის ბანკის, 5000 მანეთისა, მიცემული მეთოლოგიურ სამრეწველო საზოგადოებიდან, კრედიტის მოწმობა 8927 მანეთისა. მოცემული ყარსის აღმაშენებელ კომისიიდან ზურაბოვის სახელზე, და ფულად 2800 მანეთი, საბუთები გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1174 3—3

წყალობა საქუაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საკრედიტო მოწმობა № 124, 1061 მან. 88 კაპ. მისამართი: ჩერქეზიშვილის ქ. № 139. 1182 3—3

სტეფანე ნიკოლოზის ძე ტერსტეფანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი რეესტრი № 368, მიცემული 1894 წ. მარტის 3 კონსტანტინე სოლომონის ძე ვარძელოვზე, რომლის სიკვდილის შემდეგ სიგელი მემკვიდრეობით გადავიდა სტეფანე ნიკოლოზის ძე ტერ-სტეფანოვზე.
1163 3—3

ეუტა ისაკის ძე ბენიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და სამხედრო ბეგრიდგან განთავისუფლების მოწმობა, რაც გაბათილებულათ უნდა ჩაითვალოს.
1185 3—3

ტფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება აცხადებს, რომ დაჰკარგა ხორბლის დაფქვის კვიტანციები №№ 4851—4900, რომლებიც გაუქმებულად ითვლება.
1173 3—2.

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 4 № 1355 მოწერილობის თანახმად, ყადაღა, რომელიც ითვლებოდა ივანე ივანესძე ენიუტინის ქონებაზე 1913 წ. ყადაღათა კრებ. №№ 150, 173. 1914 წ.-№№ 43, 95, 96, 110, 1917 წ.-№№ 66, 67, 1918 წ.-№№ 26, 27, 28, 30 და 31 გაუქმებულია.
438. 3—2

აიკობ—აიზიკ დავითის ძე სიმხოვიჩი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ტფილისის საპოლიციო სამმართველოდან 1911 წ № 5863. 1167 3—2

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 29 ქ. სოხუმის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში მე-992 №-ით აღნიშნულია სიმტკიცის მოწმობა, შედგენილი სოხუმის ნოტარიუს ზატვორნიცკისთან აქტის წიგნის მე-6 №-ით, რომლითაც კონსტანტინე გიორგის ძე პოლიტიდიმ დაიმტკიცა მიწის ნაჭერი ქ. სოხუმში, შერვაშიძის ქ., უბ. „Θ“ № 4, ზომით 175,45 ოთხკ. საჟ. ფასი 997 მან. 89 კაპ. 396 3—3

ზამლინსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული 1904 წ. აგვისტოს 17-ს, რეესტრი № 1809. სიგელი მიცემული იყო ფლორენტინ ზემლინსკის სახელზე, რომელმაც კიკეტში, ტფილისის მაზრაში, იყიდა მამული.
1182 3—2.

აბრამ მარტინის ძე არუთინოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა გაყოფის აქტი, დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1905 წ. ნოემბრის 8, რეესტრი № 1965.
1171 3—2

რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლო, თანახმად 951-954 მუხ. ს. დ. კ. XXII წ. გამ. 4, ეძებს ქუთაისის მცხოვრებს, ყოფილ პოდპორუჩიკ მე-5 ყუბანის პლასტუნთა ბატალიონისა, სიმონ ბრეგვაძეს. ყველამ ვინც იცის ბინადრობა ზემო აღნიშნულ პირისა ვალდებულია აცნობოს სამხედრო სასამართლოს.
1171 3—2